წვიმას გადაელო. მზე იცქირებოდა. მის სითბოზე სველ დედამიწას ორთქლი ასდიოდა. ლევანმა თოვნი აიღო, ხერხელიდან გამოიკიდა და გაჩერდა. მერე ვერცხლის საპაპიროზედან პაპიროსი ამოიღო და მოუღვრა და ხანტად წავიდა. ისე გაშორდა იმ ადგილს, რომ უკან არც კი მიუბრუნებია იქით, სადაც გულ-წასული, გაუპატიურებული შეშლილი ქალი იწვა მიწაზე. — წვიმის შემდეგ მზე უფრო ცხარე იყო, დედამიწიდან ასულ ორთქლისაგან ჰაერი დამბიმებული. ნაწვიმებს ხევში წყალს ემატნა და ლევანი ისე თავისუფლად ევლარ მდიდრიდან როგორც წყლან მოვიდა. წყაროზე პირი დაიბანა: გაიბანა ის ჭეჭკი, რომელიც მის სახეს და ხელებს მოეცოთ თებროსთან ბრძოლის დროს, მის თმებისა და ტანისამოსისაგან. სახე გაიკრილა, ტანისამოსი გაისწორა და ფეხ აქაჩრებით წავიდა ზინისაკენ: არ უნდოდა, რომ ამ ადგილებში ვისმეს მოესწრო. სადღიობაც გადასული იყო და შინ სადღიოდ ელოდებოდნენ. უკვე სრულიად გულ-გრილად გაუარა მუხას, ნათლი-მამის სოლოს დამწვარ სახლს, დანგრეულ სოფელს. დილანდელი თავისი ფიქრები თავში აღარ მოსულია. დაიფიქრა, რომ ამ დამწვარ სოფლის ნაწვევების ძირში ჩამალული იყო ის ნაპერწყალი, რომელიც წყლან მან სოლოს თვალეში დაინახა, რომელმაც წყლან შეაშინა და რომელიც იქ იმიტომ ლვოდა, რომ ერთ დროს ერთ დიდ ცეცხლად ქველს სამაგიეროს მის-საჯელად წაეღოთ ყველა, ვინც ეს ნაპერწყალი ჩააგდო ხალხის გულში.

აივანზე ელენე იდგა და ზაის გაჰყურებდა. ლევანს ელოდებოდა. ლევანმა შორიდანვე მოჰქრა მას თვალი და გაიკინა. მოაგვია და დანაპირევი, რომ თავის სატრფოსათვის მშველი უნდა მოერთოთ და ხელ-ცარიელი კი მიდის მასთან.

— რომ იცოდეს რა შველი მოკალი დღეს, სულ სხვა გუნებაზე დადებდა! — გაიფიქრა ლევანმა და ელენეს გაუცინა.

უკან კი დამწვარ-დანგრეული სოფელი და ნამუს-ახილი ქალები დარჩა.

ა რ ს ე ნ ა

უხილავ ხელმა წაშალა
ვარსკვლავნი თანდათანობით;
თინათინ ფარავს თავშალი
შინ მივა ნელი გალობით.

სდუმან აელობრის სახლები;
გმერთაღლა მთვარეც გვიანი;
მას არეინ არ ეახლება,
ბრუნდება ნათელ შზიანი.

არსენას ცხენის ქენება
კიდევ მოისმის შორიდან;
როცა მზე ჩაესვენება
ამბავი მოვა გორიდან:

„ატლასის ფარა ნაქარგი
მინდა გშვენილეს კაბათი;
თუ შენ არსენა დამკარგე—
ატარე მისსა ამბათი.“

ასაობრებლათ წავსულვარ
მსოქან, ფაშვიან ვაქართა;
ავ თვალთ არ დავნავსულვარ
არ ვდარდობ რაც დამემართა!

ბორკილის სისხლის დაღები
მალაშოთ მომიჩინია,
და ციხის ბნელი თაღები,
არსენას ტყვილათ ელიან.

გულს მიდევს შენი ბაღდადი;
გორიდან მცხეთას ვაპირებ;
თუ ვიქენ ისევ ხალდათა
ბოღბისხეცს გავინაპირებ.

თუ სასიკვდილოთ დავიჭერ,
თუ ჩემი მკლავი წახეთესა,
წითელ კერძს ვეღარ დავიჭერ,
ჩემი სიზმარიც ახეთესა“.

თინათინ კაბას აჭარებს
არსენას გასახართა;
მთვარესაც კი არ აჭარებს
ქპარგავს, დამლორის წენარადა.

არ დარდობს; სჯერა ვეფხობა
გულ მკერდის, ფართე მზრებისა!
არსენა არ დაეფხობა,
არა აქვს რიდი მტრებისა;

მაგრამ რა ნისლით მოკულა
მუხათ გვერდისა კალენი!
თინათინ ჩუმათ ლოკულობს,
სტორიან ფართე თვალენი.

მკლავებზე დაეყვინთება,
სიზმარსაც ნახავს მწარესა;
ხედავს:—სანთლები ინთება
აკლდება შუქი მთვარესა;

მოაქვთ მცხეთისა მხარიდან
ყაჩაღებს შვენაბდიანებს;
მკედარი არსენა მხართა,
შორი გზით დანაგვიანებს.

წვერები სისხლით დასვრია,
და ვეღარ აღებს თვალენსა;
გულში ხანჯალი ისვია,
აქცევს სისხლისა ღვარებსა;

მისი უღლაში გრეხილი
ბაღდადით დაუბურით;
და ხმალი გადატეხილი
ეპარსა მოაქვს ურისა.

თინათინ წამოვარდება,
ადგება გარტყბული;
ხედავს, რომ მტკვარი შავდება,
და მოდის იდიდებული;

ამბობს: „სიზმარი ტიალი
ტყუილად არ გამლანდებია!“
ორი მხედარი გვიანი
შორი გზით გამოჩნდებიან.

ალაყადს მოადგებიან
ჩაბალახებით ბურვილინ;
თინათინს ეუბნებიან:
„გვაბარჩობს სიცხე და წყურვილი.“

მოესულვართ შავი ცნობითა,
გზა დიდი ვაგვიარია;
კუჭანტლის ვერავაბითა
ჩვენი არსენა მკედარია.“

ამბობენ: „შენი ბაღდადით
ჭრილობა დაუფარეთო,
და ძველი ქართლის ადათით
მიწასა მივებართო.“

არსენას ნაანდერძები
სურვილი შეეცარულეთო;
დაცალათ დიდი ვეფხები
მშვირნი დავაპურეთო.

გვთხოვა გვიამბო საჩქართო:
„ბედო გამიხთა მტერთათო!
წითელი კაბა ატარე
არსენას მოსაგონათო.“

არ დასწვა ჩემზე სანთელი.
არცა ცრემლი ღვარო ცხელი;
აქაც კარგი ვიყავი,
იქაც ნათელსა ველიო!“



ზამთარი.

(დისონანსები)

თოვლი მობრძანდა ტენორის ყელით
და უსპეტაცეს ხელთათმანებით.

შეხვდა ქალაქი ქუჩუიან ხალით,
შეხვდა სიჩუმით და მოთმინებით.

გრივადი მოდის ურიცხვ ჯარებით,
როგორც ზიგურიდი და მენელი,
მოდის ცინებით — ქერა დაბაჯებით —
და გაძოჟებოზ ლამის მელანით.

ზამთარი მოდის თავის ტერორით,
მან დაიკავა ყველა ქუჩები.

ზამთარი მოდის ვით კომანდორი
და „გარბის ხალხი შენაქუჩები.

ლაშურასავით დაფრინავს ქარი.
დაახლო ბავშვი მან უპატრონო.

როდის გადღემა ეს თეთრი ქერი
და წაშავდება ლამეოტრანა?

მე ვარ გაქრული ციფ ბეგანზე;
მაგრამ არ მოდის ჩემი ინფანტა.

მწარედ ეოკნებოზ ვის და რამინზე,
და თოვლისაგან მთლად გავიბნეტე.

თუ მოვესწარი მე გათენებას,

თუ ქარიშხალის, შეწყდა თარეში,

თუ დავაღწიე თავი ანთებას,

წაეღა, რომ გავთბე, ზეალ ოპერაში!

ვალერიან გაფრინდაშვილი

ალექსანდრე გუმილი.

ქალაქი

ახალ ცხოვრების, ძველით ხმაური,
ზურმუხტ ხაგები ტანი ფოლადის,
მრისხანებაში, სდგას საცნაური
გველი ქალაქი, მხნე გოლიათი.

ახუჩაეს თავზე, კომლის გვირგვინებს,
აწვერილ ქარხნის მალალ ზურჩებზე,
ვატყორცნილ კენესით, ამოიგმინებს,
რკინა დამდნარი მის შავ ტუჩებზე.

როგორც ფრინველთა, გუნდი დაშლილი,
მის ჯოჯოხეთურ ალში ჰრებიან,
სწრაფ ტრამვაების, წყება გაშლილი
მალილიდან თქემით დაფარდებიან.

ჯავარიან კლდის, დიდი სახლები.
ათას მინებით გაჭრილა ქვაში,
არეულ ენებით გადაეხლებმა.
გრიფური ხედვა მტრედისფერ ცაში.

არ უჩანს ბოლო ჩაქცეულ ქუჩებს,
ხროვა ბაღისა, კივილს დახეტდა
სამარადისო ქუჩილს აქუჩებს,
მშრომელთა ოფლის ძლიერი ნება.

ქალაქი კვეთავს, ალში სტრეილუმს,
მხარეა იგი, მკერდ გაღადრული
მასში გრივადით ტან-მებრევილებს,
უნთიათ სისხლი ჩამოღვარული.

ქალაქი მძლავრი გაუტეხელი,
და მოგზაურთა, ბედის ვარსკვლავი.
დროში აძარბა, სისხლისფერ ხელთ,
და შრომის უფლად მაგარი მკლავი.

თორგმანი: გიორგი ლაგამარ

კოლექცია
ჩალ. გაფრინდაშვილი
ქალაქი

საზოგადოებრივი სპორტი



ეს ძველი ამბავია.

ბავშვობისას გამიგონია: თითქო ალ. ყაზბეგის თხზულებათა დამწერი სხვა ყოფილიყო. გამიგონია ისიც: თითქო ეს უცნობი ავტორი მისი ბიძაშვილი დიმიტრი ყაზბეგის ყოფილიყო.

ბევრს ეგუებოდა შექსპირის ავტორობა. ალ. ყაზბეგის ავტორობაში რომ დავეჭვდენ—რა გასაკვირია? საკვირველი სხვა რამ არის: როცა ასეთს ეგუებს უსუსური კვლევით ამართლებენ.

ასეთ კვლევას ეკუთვნის ვინმე მიხ. ზანდუკელის ნაშრომი.

მე არ მაინტერესებს პოლშიკა და არც მიყვარს პოლემიკური ვარაონი. თუ სიტყვა „უსუსური“ ვიხმარე ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა უფრო შესაფერის სიტყვა ვერ მოვიხსენიე.

ჩემი მიზანი სხვაა. მე მსურს ავტორობის მხოლოდ, რომ ხსენებული ავტორის სხვადასხვა საბუთი ან არის მკადარი და ან არის უკმაყოფილო: ან ორივე ერთად.

ავტორი ირწმუნება მრავალგზის, რომ შემოქმედება ცხოვრების გარეშე არ არის.

ეს საბოლოო ისე გაცემილია, რომ იგი ყველამ იცის. საიტი სხვათა მოპირუნიებაში: ცხოვრების რომელი ზეგონი გახმარდა მწერლის შემოქმედებაში და რა გზით: პირდაპირით თუ მიხედვით, ბილწულით თუ ფარულით. ფიქრის ფსიხონალიზი სწორედ ასეთიანია: თანა გამართული.

ხსენებული ავტორის მსჯელობა კი ყოველგვარ სერიოზობის გარეშე დგას. იგი ურცხვად მოგვითხრობს ალ. ყაზბეგის ცხოვრებას:

იგი ფუფუნებაში და განცხრობაში იყო აზდილი, იგი იყო ნებიერი და ნებასუსტი, იგი ფლანგავდა ფულს, იგი იყო სიმულანტი (ერთხელ ქალის სიყვარული მოიგონა), მან სწავლა ვერ დაასრულა, იწყო იჯარების აღება და ვერაფერი გააკეთა, გახსნა სასმლის ვაჭრობა და ვერც ის მიიყვანა ბოლომდე, მას უყვარდა ფეხსაცმელი გათიხა, როგორც მაგალითად ფალავანი ყოჩების აზრი (ავტორი მისი „ბაბარია“ რად ღირს?) და სხვა—და აქედან ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„აშკარაა, ყველაფერი, სამუშაო, ისე ეწყობა ალ. ყაზბეგის ცხოვრებაში, რომ უნდა შეფერხებულიყო უკეთ რომ ესთქვით, დაბნელებული გზით წასულიყო მისი ნიჭისა და ძალების განვითარება დაქინებულყო, გაფანტულიყო, მოღწეულიყო“.

აი მართალია რომ „უცარი“ დასკვნა!

ავტორმა ან არ იცის მწერალთა ბიოგრაფიები, ან და განგებ იეწყებს მათ, ისტორია მოგვითხრობს, რომ მწერალთა უმრავლესობას ზემოთხსენებული „ცოდებები“ ახასიათებენ. ალ. ყაზბეგი ვერ გახდებოდა თვალსაჩინო მწერალი, რადგან იგი ცხოვრებაში ასეთი და ასეთი იყო. ამ ახიერებულ დებულებას რომ გავყვეთ, მაშინ მწერალთა ოთხმოცდაათი პროცენტი მწერლობიდან ამოვადდება! ზოგის რომ არ წაიღებო, აკაცი წყითალი „შეგნულია გავიხსენოთ მაგალითისათვის: არა მგონია, ისეთი რამე „ცოდვა“ ჰქონდეს ალ. ყაზბეგს, რომელიც იმავ

დროს აკაცი წერეთელს არ ახასიათებდეს. მაშ გაავრცელეთ მან ეს დებულება! შედეგი იგივე იქნება.

სულ სხვა იქნებოდა, ავტორის რომ გამოენახა ალ. ყაზბეგის ცხოვრების რომელიმე ხაზი რომ რომანების რომელიმე ზეგონი: თუ გინდ მისი სიმულანტია—მაგალითად რუს კლასიკ რომანის მოგონება. მაშინ კვლავ სულ სხვა მიმართება მიიღებდა, მაგრამ ავტორის ეს არ ინტერესებს.

ავტორი ეხება ალ. ყაზბეგის ნაწერებს. იმავე წაშში ნახულობს მათში კიანსა და აბესს, ერთი ჯგუფი ცუდია, მეორე ჯგუფი კარგი. იგი არ ცდილობს ახსნას, თუ როგორ თავსდება პირველი ჯგუფი და მეორე ჯგუფი ერთსა და იმავე ავტორში. იგი თავიდანვე იმაში დარწმუნებული, რომ პირველი ჯგუფი ალ. ყაზბეგს ეკუთვნის, მეორე ჯგუფი კი სხვას უნდა ეკუთვნოდეს. ამ მტკიცებას იგი სხვადასხვა გზით ასაბუთებს. ხოლო არც ერთი გზა არ არის სწორი.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის: „სკენები“, „ფათი“, „ჩინოვანი ელზიბე“, ბედ-შაგი, „მტრები“, „ელზინოზა“, „ცხოვრების ჩარხი“, „ნინო“ და სხვა.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის: „ციკო“, „ელგუჯა“, „მამის მკვლელობა“, „ციკო“, „ელზინო“, „ბერაძე“, „ელზინო“, „ხევის ბერი გიკა“, „ნამწესკარის მოგონებანი“, „განკიცხული“, „მოდგარა“ და სხვა.

ამ ორ ჯგუფთა შორის, ავტორის აზრით, უფსკრულია ნამდვილი.

უფსკრული პირველი: პირველ ჯგუფს ემჩნევა უტყუარი გავლენა სხვადასხვა მწერლების: გიორგი ერისთავის, გრიბოედოვის, კარამზინის, მოჰსანის, ლერმონტოვის, ტურგენივის და სხვების. მეორე ჯგუფი თავისებურია: მას არ ეტყობა არავითარი გავლენა. აქედან დასკვნა: პირველი ჯგუფი ერთ მწერალს უნდა ეკუთვნოდეს და მეორე ჯგუფი მეორეს.

კიდევ რომ მივიღოთ, როგორც ფაქტი, თითქო პირველი ჯგუფი გავლენის ქვეშა დაწერილი და მეორე ჯგუფი კი თვისგნით, მაშინაც კი ავტორის დასკვნას აქედან ვერ მივიღებთ. შესაძლოა ერთსა და იმავე ავტორს ჰქონდეს ორივე ჯგუფის ნაწერი: ერთი გავლენის ქვეშ და მეორე გავლენის გარეშე. მაგალითები მრავალია. კერძოდ—ალ. ყაზბეგის შემოქმედების ასახსნელად შესაძლო იქნებოდა ასეთი ჰიპოტეზა: საცა იგი „ბარს“ ეხება, იქ მასალა დამუშავებულია მრავალგზის და მრავალმხრივ, —მისათვის შესაძლოა, ახალგაზდა რომანისტი გავლენაში მოხვედრილიყო. იქ კი, საცა იგი „მთას“ ეხება, იქ თვითონ მასალა მოცემულია ჯერ კიდევ ზეგონებით, —მაშინაც შესაძლოა, ახალგაზდა რომანისტი თავიდან იეკლდინა ყოველგვარი გავლენა.

უფსკრული მეორე: პირველ ჯგუფში აღებულია შორეული წარსული, მეორე ჯგუფში კი უახლოესი წარსული. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ესეც მკადარი. მრავალია მწერალი, რომელიც მასალის შორეულ წარსულიდან იღებს და ახლო თანადროულობიდან. კერძოდ—ალ. ყაზბეგის ნაწერის ახსნისათვის შესაძლოა ასეთი ჰიპოტეზი წამოვყენოთ: ალ. ყაზ

ბეგი რომანტიკოსია და მას რასაკერძოვლია შორეული აფორიზმები და შორეულს იგი „წარსულში“ ჰპოებს. მაგარი ის, რაც ჩვენ ახლო თანამედროვედ გვეჩვენება — „მთა“, ისიც წარსულია არსებითად. „მთა“ თითქმის ისტორიის ვარგვედგას: მან არ იცის თითქმის ვითარება: იგი თემურ და გვარეულ ყოფას არ გასცალდება. მაშასადამე, „მთა“ არაქალი ყოფაა, და როგორც ასეთი, „წარსული“. მაშასადამე — იგიც „შორეულია“ და პირველი შეხედვით ნახული მეფეები ამ მხარით მოხსნილია.

უფსკრული მესამე: პირველ ჯგუფში მოცემულია მეშვენიერი ყოფა მეშვენიერი სიყვარულით, მეორეში კი რაინდული ყოფა სპეტაკი სიყვარულით. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ახორციელი მტკიცებაა. ალ. ყაზბეგი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. აი რასა სწერს იგი თავის თავზე: „ამ ხალხში ალიზარად, აქვე ესწოვდი მთიელი დედა-კაცის რქეს, რომელიც მთლად იყო შემადგარი მთის დაღმდეგებით აღსავსე ბუნების ნაწილისაგან... ვიზრდებოდი მათ შორის და სანექტარო ნიათთან ერთად სმენასა წუდებდა ნანა ჩემის შრომებისა, რომელიც იმხანა: ვინ თავისა ვერ სთავისობს, მას აღმზრდელის რძე პირიდან წამოუვარა... და შემდეგ, თუკი ყოველმა შემთხვევაში, თუნდა ავილით თბილისის ასე წოდებული მოწინავე — მოთავე ხალხში ტრიალმა ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპოვა და ვერ გარყვანა მათი ძალა, და დღემდის ჩემის სისხლის შემადგენელი არიან მთის ნაკადულში შერეული ჩრინა და ქალღმერთ შორის ნაჩვენებების წყებები“ („კავკასიონი“, 1—2)... აი „მთილისა ბუნება და მისი მწერა: საკვირველი არაა, თუ მან გარე მთისა“ მხოლოდ მეშვენიერი ყოფა იხილა და ოდნავ „გვერდულად“ მიუღდა და ირიბად ასწერა..

უფსკრული მეოთხე: პირველ ჯგუფში ბუნება არაა მოცემული, ან თუა მოცემული, იგი თავისთავადაა. მეორე ჯგუფი კი სულ ბუნებითაა გაღრმავებული. აქედან დასკვნა: პირველი ერთს ავტორს ეკუთვნის და მეორე მეორეს..

არც ესაა სწორი. ალ. ყაზბეგი ბუნებას ყველგან ხედავს. მოქცეული მას: „ბუნება კარგაა მხოლოდ მაშინ, როდესაც შვი სიცოცხლე ტრიალებს“. ცოტა უკვირია: „მე არა ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა“ („კავკასიონი“, № 1—2). და თუ მაინცა და მაინც პირველ ჯგუფში ნაკლებია ბუნება ვიდრე მეორეში, ეს ალბად იმიტომ ხდება, რომ პირველი ჯგუფის ყოფა მოწყვეტილია ბუნებასა და მეორე ჯგუფის კი პირდაპირ გაღრმავებულია ბუნებაში.. და ალ. ყაზბეგს ჰქვამს ძეტი არა ვთქმის რა ასეთი იმიტირები ასახვასათვის..

უფსკრული მეხუთე: პირველი ჯგუფის სტილი სუსტია და მდარე, მეორე ჯგუფის სტილი კი ძლიერი და გულსხმიერი. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

კიდევ რომ მივიღოთ ასეთი დაყოფა, ეს კიდევ იმას ვერ დამატებებს, რომ ეს ჯგუფები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნის. გარდა იმისა ავტორის მავალთადაა სუსტია. მას მოჰყავს „ფაიასი“ და „არსენა“ ვითომ სუსტი ადგილები. ნამდვილად კი ეს ადგილები სტილის მხრით მეორე ჯგუფის ადგილებს არაფრით არ ჩამოუვარდება. ამავე დროს მას მოჰყავს „მამის მკვლელობა“ ვითომ ძლიერი ადგილი. ნამდვილად კი ეს მდარე რიტორიკაა: „ის არ იყო ჯერადი და ჯერადობას სწამებოდა“ ის არ იყო ავაზაკი და — ავაზაკობას აბრალებენ! — იმას უყვარდა და — სიყვარულის საგნას აშორებენ!...“

მე არ შევხებები ავტორის მტკიცებას, თითქმის შევარალს (ამ შემთხვევაში ალ. ყაზბეგს) არ შევიღო 1880 — 1885 წლებში აღმდგის დაწერა: ცოტა ხანია! ვინ არ იცის მრავალი მწერლის ინტენსიური შემოქმედება: არ შევხებები არც იმ ფაქტს, რომ ალ. ყაზბეგი 84 წლისა იყო, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ძალიან კარგი: მომწოდებელი გამოსულა. შევხებები მხოლოდ ავტორის ერთს „ახორციელებებს“..

აკაკიმ ლექცია წაიკითხა შოთა რუსთაველზე. ყაზბეგი გამოშვებურა და ვერა სთქვა-რა. მიუხედავად იმისა, რომ „მამის მკვლელობა“, ავტორის ფიქრით, „ვეფხისტყაოსანის“ გავლენით არის დაწერილი: „იავო — პირდაპირი, გულადი, უშინარი, მაგრამ გრძნობით დატყვევებულ-დამონებულია; მასში ხშირად გრძნობა სჭარბობს; კომაში კი ახრი და მოხერხება უფრო მეტია, თუმცა საღი და ძლიერი გრძნობაც მასში დიდია“. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ იავო ტარიელია და კომა ავთანდილი.

არც იცი, რომელ შკოლაში ასწავლიან ასეთ პარალელებს. ამას თუ გავვებით, უფალავი ტარიელი და უფალავი ავთანდილი ამოჩნდება.

ესეც არ იცის, რა უნდა ეთქვა ალ. ყაზბეგს, გარდა იმისა, რაცა სთქვა? ეს მისი ნებაა და უფრო კი მის გულ-ნება (გუნება)..

ავტორს უნდა ამით განუვითარებლად მოგვარჩენოს ალ. ყაზბეგი. მაგრამ ვინც წაიკითხავს „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ ნაწერს ალ. ყაზბეგის, ის უთუოდ უფალავებს სრულიად უსაფუძვლოდ გაგარცელებულ შეხედულებას ალ. ყაზბეგის ინტელექტის შესახებ..

ეს მხოლოდ „ზედადშიც“, თავიდათავი სხვა.. წარმოვიდგინოთ, რომ ალ. ყაზბეგის სახელობის ნაკერებში მართლაც ორი ჯგუფი არსებობს: უფსკრული ჯგუფი კი ერთი მეორისაგან: პირველი სუსტი და მდარე და მეორე ძლიერი და გულსხმიერი. მივიღოთ ისიც, რომ პირველი ჯგუფი ერთს ავტორს ეკუთვნის, მეორე ჯგუფი კი მეორეს..

ეს უფსკრული კარგი, მაგრამ საღ არის იმის სახეობი, რომ სუსტი და მდარე სწორედ ალ. ყაზბეგს ეკუთვნის?!

ეს დასკვნა ყველაზე უფრო „ახორციელებია“ მისი ზანდელის „გამოქვეყნებაში“.

იგი აქ ისევ ალ. ყაზბეგის პიროვნულ ერთეულს მიმართავს:

ალ. ყაზბეგი თითქმის ბავშვობიდან შეპყრობილი იყო იონანისობით. შემდეგ ავი სენი (ლუქსი) შეეყარა, ავტორის მოჰყავს სხვების მოწოდება: „იგი თაქაქინდრული და გულსხმიერი იყო“. მისი გართობა შეეძლო მხოლოდ მის მიამდნ „უკას“, რომელიც მას გაგვიცემით უყვარდა და რომელიც ხშირად ჟურნალშია კი დაჰყავდა უბო. ალ. ყაზბეგი სამიწელ ჰუბუში ცხოვრობდა: საცვლების გამოცვლაზედაც უარს ამბობდა. მასვე სჭირდა კლემენტინა. იგი ჩადიდა დუქნებში, იპარა-



და ფართულულობას, ამოჰქონდა შინ, ამწერიებდა ხოლმე და ეთამაშებოდა... და სხვა და სხვა...

შემდეგ ავტორის მოჰყავს ვაჭარი ციტრატები პსიხიკატორის სერბისკის წიგნიდან. მკითხველი მიხედვით თუ—რისთვის...

მათელი ეს ადგილი ავტორის „კლევისა“ საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებს...

ჩვენ ვიცით, რომ ალ. ყაზბეგი არანორმალური იყო. მაგამაც ისიც ვიცით, რომ ნამდვილი შემოქმედი მრავალ შემთხვევაში არანორმალურია: იგი არღვევს მიღებულ ნორმებს. ამ შეზღუდულებას არ აქვს შინაგანი კავშირი არც ლომბროზოს თეორიასთან („გენიალიზმი“) და არც მკეს ნორდაუს ანალიზთან („გადავრცელება“).

ჯერ ლუგისი. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოეხსნას მას „სირკევილის“ მასკა და დაეკრუას მას მხოლოდ „უბედურება“. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებდებამ ჩვენ სწორად და მართლად ვალაპაჩოთ მასზე.

ჯერ მხოლოდ ფაქტები. საფარანგეთის მწერლებში და პოეტებში—უნ მოთხოვს რამდენი იყო ლუგეცი? მაგრამ ვის აფელისა იმის მტკიცება, თითქო მათი შემოქმედება თუ სწინს გამო მდარე იყოს და სუტა? პარათალია, ბოლო ფაზებში ეს სწინ ანადგურებს ადამიანს, მაგრამ ისიც მართალია, რომ პირველ ხანებში იგი ჰქმნის ადამიანში მისი ძალების უმდაბლეს კონცენტრაციას. ამ პერიოდში ყოველი შემოქმედი—პოეტი თუ მწერალი თუ მეცნიერი თუ ფილოსოფოსი—ჰქმნის ასე ვთქვათ კუნთების ერთიანი დაკმით, ძალების ერთი დაკმით, ერთი საშინელი ანთებით და აიღვლებით, დრო და დრო ამ სწინთ ავადს დგარესია იპრობს და მელანქოლია—სანამ ბოლოს სრულიად არ დაიწვის. გრაფიკულად რომ გამოვკტრა მისი შემოქმედების სურათი, მაღალინს ხაზუღის მივიღებთ: ხან ავიარდნა და ხან დავადნა, ორივე—მაგარი.

ამ სწინთ ბევრი რაიმე აიხსნება ალ. ყაზბეგის მოვლენაში. შესაძლოა, წლები 1880—1885 სწორეთ მალარიის ხაზუღის იძლეოდნენ მის შემოქმედებაში, უკანასკნელის გამაფრებით, რასაკვირველია, ამ ხანას ეკუთვნის დიდი ნაწილი მისი შედევრების. ხოლო, დრო და დრო იგი ალბად ამავე ხანაში „დაეკრდნასაც“ გადაიტანდა, რასაც უფროდ მოაქვებოდა სუსტი ნაწერი: უსახლო და უბერხემლო და ზოგჯერ დაუთავებებელი.

მტკიცება იმის, რომ 1880-1885 წლებში იგი უკვე „დავარდნობი“ იყო, მხოლოდ ცუხალი მოვარებით შეიძლება დადასტურდეს. უკანასკნელი ეს სხვას გვეუბნება.

ებლა ჰუმპაი...

თავისთავად ესეც ფანტასტიკაა ალ. ყაზბეგის. ისტორიამ მრავალი იცას ისეთი მგალითი. ეს არ არის უბრალო მოვლენა. იგი ელს თავის ფაქიობს ასახნებულად.

ხოლო რაც შეეხება მიმწინ „კლასთან“ დამეგობრებას, ამაში მე ეხედვებ არა მარტო „გენიალურ ახირებულებს“, არამედ დიდიანის პიროვნების უკანასკნელ დანებებასაც. აქ არის პოეტის გახელება ნადავალის არეში.

კიდევ უფრო პოეტურია ხანა ალ. ყაზბეგის კლესტორანის:

როცა იგი ფართულულობას, თუ გინდ შეუმწიგეულ წამოღებულს, შინ ამწერიებს და ეთამაშება, ჩვენ წინ

ბავშვი იმართება ნამდვილი ამ სახელის უსაყვარლესი მწერელით.

ალ. ყაზბეგის ხასიათზე კიდევ ბევრს იტყვიან.

აქ დიდი მასალაა მადლონი.

ავტორის მოჰყავს ერთი ფაქტი ალ. ყაზბეგის ცხოვრებიდან. „რა გემართება სანდრო?“ ეკითხება მას ნიკო ლომოური. სანდრო მიუგებს: „ეგ არაფერი! უტყბად მომელანდენ ყველა ჩემი გმირები და მათთან ელაპარაკება“. ამ სიტყვებს ავტორი დაერთავს ექიმ გელდენშტეინის სიტყვებს: „ეს მხოლოდ ავადმყოფი სულის გამოხატულებაა და არა ნამდვილი მხატვრული წარმოსახვის“...

ეს ამბავი თორმეტი წლის წინად პირადათ გადმომცა მე ნიკო ლომოურმა. გადმოცემით ისეთი დიდი მომეჩვენა სანდრო ყაზბეგი, რომ იმავე წელს დავებულე პატარა წერილი „სანდრო ყაზბეგის“ სათაფრით... და მართლაც: აქ ჩვენ გვაქვს საკმე უსაფრეს ფიზიონომიკულ ნიჭთან... მის ზაღუკული კი უბრალო ექიმის თქმას იმოწმებს, რომლისათვის ასეთი ნიჭი ცხრა კლიტულშია დამალული. საკვირველია: ნუ თუ ლაშქარის გამოკლევა მაინც არ წაუეთობება შემოქმედთა უტყატრ ხილვათა შესახებ!

არას ვიტყვი დიმიტრი ყაზბეგის ავტორობის შესახებ. ალ. ყაზბეგმა განაჯინა ვასტება და ნაწერები მოიტაცაო. მერე ეს კნაია იმის დასამტკიცებლათ, რომ ავტორი დიმიტრია და არა სანდრო! საიდან ვიცით ჩვენ, რომ იქ უთოვად ბელადიტრისტული ნაწერები იყო? შეიძლება „მაგენ სულეზობი“, რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა და რომელიც „დროშამ“ ებლა გადმობეჭდა! მაგრამ ეს ხომ უსუსტროდ ბავშვის ნაწერია თითქო! ამასთან შედარებით ალ. ყაზბეგის უბრალო მართლად სტუდენტობის დროიდან—შექსაირია ალ. ყაზბეგის ფრაზა: „მე არა ვარ მლოცველი უსულე, უსიკოცხლო საგნებისა“—დიმიტრი ყაზბეგის „მაგენ სულეს“ იყიდის თავიდან ბლომად.

მაგრამ ავტორი ახიურებულა და თავისი გაიძახის. მეორე ჯგუფის ნაწერებიდან დარჩენილია ხელნაწერები (—„მომღაირის“ რამოდენიმე თავი). ავტორის აზრით, ეს „მომღაირის“ დენი და ეს არა, მისი უბერიო გადმოცემაა, ადაოებს ტექსტებს ერთი-მეორეს. მაგრამ რამოდენიმე ხანა ხელნაწერიდან: „გუდამაყარის ვიწროსა და ქვიანს ხეობას სათავეს ერთი უზაოხაზარი, ძნელად მისადგომი და კაცის შეზაოებელი მთა ამარაოთა. აქ კიდევ: „თაიაც ამ ავდარს ეს ადგილები დაუღია, ქარს გამოუღუღუღავს და აფელი-ადელი ჩამოშლის გამო ურაცები ხეუღლი ხეობა და გადსავადინი უფსკრული შეუღდენია“. ეს არის უბერიო გადმოცემა ორიგინალისათვის თავის სიტყვით? განა არ სჩანს აქ სისხლი, რომლის „შემადგენელნი ნაწილნი არიან მთის ნაგაფულში შერეული ოკიანა და კლდეთი შორის ნაბერქვის წვეთები?“ ეს ნამდვილი ვარიანტია „მომღაირის“; სიტყვა ძარღვიანი და ნაკვეთი..

ალ. ყაზბეგის ვითომ ცრუ ავტორობას მის ზაღუკული ამტკიცებს ერთი ფაქტი. მისთვის ეს ფაქტი გადამწყვეტია. ცნობილია, რომ აწერებულ წერის დროს (იუდეტორის აბლევად დასაბეჭდეთ და შემდეგ აბეჭდებდა) ალ. ყაზბეგს თავის ნაწერების სახელები ემღებოდა.

ავტორი თითქო სიხარულით გაიძახის: „განა დასა-

ჯერებელია, რომ ავტორის თავისი გმირების სახელები დააფუძვლეს ან აერის?! ეს ხომ იმას ემზავსება, რომ დედას თავისი შვილის სახელი შეეშალოს! და შემდეგ: „ალ ყაზბეგის ასეთი „გადანათელა“ შედეგი ხომ არ არის მისთვის უკბო ნაწიამოების მექანიკურ გადაწყვერისა!..“

ჯერ ერთი რამ.

ალ. ყაზბეგი, ცნობილია, რედაქციაში წერდა. ამას იგი, ავტორის ფაქტით, იმისთვის შეგობდა, რომ მის ცრუ ავტორობაზე ეპვი არავის აეღო.

თუ კი ასე მოწადინებული იყო ალ. ყაზბეგი, რომ მისი ქურდობა არ გამოემდინებოდა, მაშინ, უნდა ეთვლებოდა, იმასაც ეცდებოდა, რომ გმირების სახელები არ არეოდა. მე არ მწამს საერთოდ ის „წარსულის ლოგიკა“ („ასე იზამდა“, და სხვა). რაღაც პირველყოფილი ცოდნა ის ჰორიზონტი კვლევისა საერთოდ, მაგრამ, თუ კი ოდნავ დაეფუძვებოდა მას, ორ მოცემულ ფაქტში მეორე უფრო მისაღებია: ქურდი უფრო ამოწმის ქურდობის კვალს.

მაგრამ სინამდვილე არაა ლოგიკა და მართო ლოგიკით იგი არ იხსნება. სინამდვილე რომ ლოგიკა იყოს მართო, მაშინ არც „ისტორია“ იქნებოდა. ზეც აქ „შეცდომისთან“ გვაქვს საქმე.

ნუ თუ ჰქონდა მიხილი ზანდუკელს, რომ ალ. ყაზბეგისთანა შეცდომა არავის მოსვლია?!

შექპირის დიდი ხსოვნა ჰქონდა, მაგრამ „მაკეტში“, ანატოლ ფრანსის დაკვირვებით, მას ასეთი შეცდომა შეეპარა. იგი ამბობს, რომ კლდიანებმა მაკეტის მიმართეს სამი წინათმით, ნამდვილად კი ორი წინათქმია.

ამავე ავტორის დაკვირვებით, რაზმეს ასეთი დაკვირვებით, რომ აქვს. მეორე წიგნის ბოლოში რაზმე გვეუბნება, რომ პანურგი ცოლს შეირთავს და იმავ თვეში ცოლი მას ულაღარებს, რომ პანტარელი იპოვის ფილოსოფიის ქვას და შეირთავს ინდიელ მეფეს ასულს. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება მისი თხზულების შედეგ წიგნებში. რაზმეს დააფუძვდა თავისი ლამაზი პლანი..

კიდევ უფრო უარესს შეცდომებს უშვებს, რამე დეგურმოვის დაკვირვებით, სერვანტესი. ღონ კიხობი გაემგზავრა. მეორე დღეს მისი მოსამსახურე ქალი ეუბნება დედულს, რომ ღონ-კიხობი ექვსი დღეა, რაც გაემგზავრა, ეს კიდევ არაფერი. სანჩო ტირის თავის ვირის დაკარგვის გამო. რაჟოდენიმე ფურცლის შემდეგ ეს ამბავი სერვანტესს ავიწყდება—და ჩვენ ვხედავთ სანჩოს იმავე ვირზე მჯდომარეს (კაცია არ იცის. საიდან გაჩნდა). კიდევ უარესი. სანჩოს ცოლს თავში ჰქვია „ფანა“, შემდეგ კი მისი სახელი „ტერეზა“.

შექპირი, რაზმე, სერვანტესი. ამათ მოსდით შეცდომა... რა დიდი ამბავია, ასეთი შეცდომა მოსვლოდეს ალ. ყაზბეგს?!—ვინც არ ცდება, იგი შემოქმედი არაა.

ვათავებ. მიხ. ზანდუკელის წიგნს აწერია:

„დაიბეჭდა სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ფაკულტეტის ნებაართით. პედაგ. ფაკ. მდივანი გ. ნათაძე“.

ეს წარწერა ბევრს აეღებს—ორივე მხარეს..

გრიგოლ რობაქიძე.

გრიგოლ რობაქიძე



გენ. დავითბენკი გვტსალოვსკი
და „გალიფი“.



გვტსალის მეფე ფუადი.

ქართული თეატრის ქრონიკები.

I. ირაკლის თეატრი. II. 50-იან წლების თეატრა-
ლური ტფილისი. III. ზურაბ ანტონოვი.

I ირაკლის თეატრი.

„თეატრი“ ანუ „თეატრიონი“, „თეატრონი ქართულს ტერმინოლოგიაში შემოაქვს ძველს ელლენურს ლიტერატურას. საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ მანუსკრიპტებში ტერმინი „თეატრი“ ჩვენი საგნის მნიშვნელობით თითქმის არ გვხვდება, მიუხედავად იმისა; რომ ჯერ კიდევ საქართველოს საზოგადოება იცნობდა ესილოს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ძველს ბერძნულ ტრაგედიებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თეატრის კავშირი ლიტერატურასთან საეპიდემიოლოგო არ არის, თეატრის ბუნებრივი განვითარებასავე ის საქართველოში. უნდა აინიშნოს მისი პრიმიტიული ფორმები, შექმნილი რასიული ინსტიტუტით.

თეატრალური ხელოვნების შესასწავლად საქართველოში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენში ცნობილი ხელოვნება ესტრის და პანტომიმები; „ზმა“, „მეშეთობა-ჯამბაზობა“ „ლეკი მონასიბი“ „ზაპო“, ცეკო, სამაი, ჯუბანა“—რომელიც არის „მუსიკა მწუხარი და საკრავთან და ხმოვანება ტბილი, გალობა თუ სიმღერა“.

ეთნოგრაფიდან: „ბერკობა“ და „ვეენობა“, როგორც არაბული ფორმა თეატრის, გრიმის, კოსტიუმის და ბუტაფორიის ყველა ატრიბუტებით.

არ შეიძლება გამოეყოფოთ: „აშუაშავი“ „ყაბიბი“ საეკლესიო „კანანაბი“ „ჭილი“ და წარმართული რიტუალები „ქადგის“ და „მონობის“. მასვე უნდა მივბრუნდეთ „ჩირალდნობა“ (ახორი ილიუმანაცია) და ქართული ტერმინი „გამოჩვენება“ თითქმის განმარტებული „ზეიმის“ მნიშვნელობით, ჩემის აზრით კი, გვევალნენ თეატრის. უძველეს ლიტერატურაში კი საინტერესოა, დღემდე მიღწეული ფორმა დიალოგის, თეატრალური დიალოგები და დიალოგიური იამბიკობები.

ყველა ეს სახეები იძლევა თეატრის და დრამის გენეზისის საქართველოში.

ეს ძველად...

მაგრამ ხმები ევროპის თეატრალურ წარმოდგენების და მისტერიების შესახებ საქართველოში შემოვიდა XVI საუკუნეში. პირველი „გახელა“ ევროპის X—XI საუკ. ეკუთვნის („ხოვალში ჩავგექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეთ, სულ მოვიარე ხმელეთი ვერ ვნახე შენი სახე“—საშუალო საუკუნეების პოეტი, რომელიც მხოლოდ კონტინენტს იცნობს „ხმელეთის“ სახით) XIII საუკ. რუსულის კარზე სცხოვრობდა ევროპელი პრინცი ორთულის-შვილი, რომელმაც შეიძლება პირველმა გააცნო საქართველოს სამეფო კარი ევროპულ ტრიკეტაბი, ან დაღვიბიდან იმდენათ მძლავრა ჩვენი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა რომთან რომ უკანასკნელი საქართველოში აფუნენეს ეპარქიის Diocesis

Ifetelencsis. მას მერე ჩვენი მუდმივი სტუმრები არიან კულტურტრეგერაციისონერები: დომინიანების, ჭარბის კანების, თაიინების, და კაპუცინის ორდენებიდან. შემდეგ რომში პროპანდის კოლეჯია აარსებს ქართული ენის კათედრას საიდანაც 1625 წლიდან გვევხვება დაბეჭდილი ქართული საერო და სასულიერო სახელმწიფოებრივი. რომში სისტემატიურათ იგზავნიან ქართველი სტუდენტები, რომელნიც ჩემის აზრით, იყვნენ, ვინაიდან სასიუხრი პიონირები ევროპული თეატრის საქართველოში.

შეუძლებელია, რომ ვინმაც შემთხვევითი ინფორმაცია ევროპული თეატრის არ შემოეტანათ: ზარდენს, ლამბერტის, პეისონელს, დელავალეს. საბა სულან ორბელიანი, რომელიც XVIII საუკ. დასაწყისში, დიპლომატიური მისიით გაიგზავნა ევროპაში, უძველესად იყო მხახველი ლიტერატურული დრამების და მისტერიების. შეჰკოა, რომ ასეთი კულტურული კარი, როგორც იყო სასახლე ვახტანგ VI-ის, იცნობდა თეატრს და შეიძლება ძველი ქართული თეატრის პირველი დატა მის მეფობაშიც აღმოჩნდეს. 1724 წელს რუსეთში გადახვეწილ ქართული არისტოკრატია (მის შორის პოეტი გურამიშვილი) იყო ესთეტიკური მათეტიკელი მოსკოვის და კიევის თეატრების ანუ მისტერიების.

ერთი სიტყვით, თეატრალური კულტი, თეატრალური ხელოვნების ტრადიციები საქართველოში უფრო შორეული პოქებიდან მოდის, ვიდრე გვეჩინა.

მაგრამ რაკი ყველა ქართველი ლიტერატურული ძეგლები საესებით არ არის შემოკრფილი და თეატრალური ბიბლიოგრაფიიდანაც დათარიღებული დოკუმენტებიც ჯერჯერობით 1794 წლამდე არ მოგვეპოება. ჩვენ საშუალება არ მაქვს უფრო დეტალურად ვილაპარაკოთ ქართული თეატრალური ხელოვნების ადრეულ პერიოდებზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული თეატრი უკვე დაბეჭდილი პრიმიტიული ფორმებიდან, თავისი უფლებდა ლიტერატურული მისტერიებიდან და სამოლოდ იღებს ახალი ევროპული თეატრის სახეს.

ამ თეატრს, რომელსაც მე ეწოდებ „ირაკლის თეატრს“, რადგან ირაკლის ეპოქას ეკუთვნის, აქვს სამი პერიოდი.

პირველი 1759 წლიდან 1780 წლამდე, თეატრი შექმნილი პაიოზის იეზუიტების თეატრის გავლენით, კიევის და მოსკოვის მისტერიულ თეატრების ტიპის, რომლის ჩანასახს იძლევა ქართული საფილოსოფიო-სათეოლოგია საწინაყვლელების „სასკოლო სკენა“.

მეორე პერიოდი 1780—1795 წლამდე, როდესაც საქართველოში ისევე რუსეთის საშუალებით შემოდის უკვე სასულიერო დრამიდან თავისუფალი ფრანგული კლასიკური თეატრი ვოლტერის რეპერტუარით კომედიებით, ჭარბებით, ინტერმედიებით, ეს თეატრი ნაწილობრივ არის დემოკრატიული.

*) ჩვენი ლიტერატურული წყაროებიდან:

თეატრი და პოლიტიკა თარგმანი. კლინურთი.

თეატრი აღადგენს გადღეობულ ვახუშტისაგან

თეატრი და არაბული. თეატრი და ავსტრალია.



მეხამე პერიალი 1795—1832 უფრო გაფართოებული ფრანგული რეპერტუარით, მაგრამ მოკლებული სახალხო სალატებს, საკუთარი შერჩევისა და განსაკუთრებით არისტოკრატიული „ოჯახების“ თეატრის, რომელიც საშუალებით სპობს 1832 წლის პოლიტიკური აქტი.

ირაკლის თეატრის ძატი ირის ტფილისის და აგლავეის სემინარია ანუ „სხოლა“ პირველი გაიხსნა 1756 წ., მეორე უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1782 წელს. მათი ანალები იმავე დროს არის ანალები ქართული თეატრის. ორივე დაწესებულება, რომელთაც მოგვიან XVIII საუკუნის ქართველი ინტელიგენცია, არა დიდი მასშტაბით, მაგრამ მაინც ძალიან პეტერბურგის ალექსანდრო ნეველის სემინარიის და მოსკოვის სლავო-ლათინურ აკადემიის—მათივე პროგრამით და ორგანიზაციით. სასწავლებლის ექრსი საფუძისმეტყველო საგნებშიც ერთად გადიან ლოგიკა, ფილოსოფიის, მეტაფიზიკის, ფიზიკის, გრამატიკის, რიტორიკის, და რაც ჩვენთვის საინტერესოა, აქვე არსებობდა „პირიკის კლასიკ“, რომელიც სკოლასტიკურ სისტემებთან ერთად ისწავლებოდა დრამატული ფორმის, როგორც ერთი სახე პიოტიკისა.*) ჩვენი საგნისათვის საჭიროა სწორედ ეს „გრამარტაბე დილოგიკის“ და „სინოპსისი დელკამაციის“.

მაგრამ სკამარისი არ იქნებოდა, რომ დრამატული ფორმა თეორიის გარდა პრაქტიკულად არ გავეცოთ და ჩვენდა სასიხარულოდ არსებობს დოკუმენტები, რომელთაც თეატრული და ტფილისის „სხოლასამიკის“ სდგამდენ სახელო სტენიურ დილოგიკის, დელკამაციისა და პანეგირისტულ პიესებს იამბიკოებით, როცა საწვლეზღის ესტუმბობოდა რომელიმე წვერი დინასტიის. ამიტომ შეთხვევითი არ არის ზეპირი ცნობა დავით რეპტორის თეატრის შესახებ თელავში. უშეკველია, რომ სემინარიის თავისი დრამატული მიღწევები ქალაქის დარბაზებშიცაა გადაქმნიდა რეპტორისათვის ხელმძღვანელობით.

სასკოლო სტენის, ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი, განსაზღვრული სიუჟეტის სქემით. მასში სკარბობდა თარგმნითი ლიტერატურა, საშუალო სასკოლოების ესტუდიკით, მოტყევიებით და სიტუაციით. მაგრამ იყო ორიგინალური პიესებიც რომელთა კონსტრუქტია და მანერა. ყოველ შემთხვევაში არ იყო იდეალიზებული. ექვი არაა, ორიგინალური მისტერიების, ატორიზება არიან ჩვენთვის ცნობილი „დრამატული სკოლის“ „უტუბო პატრიკონი“, „ტაბილი მესტიხენი“ და „მთხველნი მალალა ფრასა ზედა“. ამნარიად ჩვენი ნაციონალი დრამატურგის გენეზისის სათილოგო სკოლათა ზღუდებში უნდა ვეძიოთ. სწორედ ასეთივე საფუძვლით იქმნება ფრანგული და ესპანური თეატრიც.

ცნობილია, რომ სიუჟეტები, ბიბლიურის ტემებს

შეიცავდა. საშუალოდ, არა გვაქვს რეპერტუარის, მამლოგრადია, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მისი ისტორიული-ლიტერატურული და თეატრალური მხარე, დადგმა და ტენიკა. ეს კი ცხადია რომ ტენიკა დადგმის იყო თითქმის დაუსრულები.

უაქტი, რომ ტფილისისა და თელავში გაიმართა რომელიმე მისტერია, ადვანტურებს, რომ სასკოლო სკენის რეცეპტით, უკვე აქმნებოდა მეორე, „დრამაზების“ თეატრი უფრო სერიოზული, უფრო ფართო სახალხო, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში შემოვი ვოლტერის რეპერტუარით. ამ თეატრის პიონერები არიან ქართული სემინარიები, რომელთაც სკოლასტიკურ სისტემებთან ერთად, შემთხვევით შემოჰყავთ დრამატული ფორმა და თუ კი არსებობდა პროფესიონალი ტრუპა არისტოკრატიიდან, მის ხელმძღვანელებად ისევ ეს „სხოლასტები“ უნდა ყოფილიყვნენ.

საინტერესოა, რომ პირველი დიდი მისტერიები უმთავრესად სამეფო პალატებში იმართებოდა. ამიტომ ტერმინი „პალატა“ დიდხანს თეატრის მნიშვნელობით იხმარება.

XVIII საუკუნის უახასანელ წლებში, იწყება საქართველოს ინტელიგური ევროპიზაცია და ტფილისს შემოწმნეული შედის ახალს ფორმაციოში. იცვლება სახელმწიფოებრივი აპარატი, იცვლება სტილი კულტურის იცვლება ჩვენი აზლად ალორმინებულ, მინიატურული მისტერიების თეატრიც; რომელიც უკვე ევროპულ თეატრის ტრადიციებს იქნეს. მოდის ფრანგული ტრადიციული თეატრი, მოდის კომედიის თეატრიც; თავისი მხიარულებით, მორალიტიკებით, ინტერმედიებით...

უფროსი ლიტერატურული დრამები კივცის დრამატურგიის პრობის, ისპობა კლასიკური ტრადიციებით, დახასხებულ მისტერიებს ანიავეს ვოლტერი, რასინი, ბომარშე...

ეს რეფორმაციის ეპოქაა, როცა სპარსული პოეზიით და ბიზანტიური კლერიკალიზმის ტრადიციით მოღვწეულ ქართულ ინტელექტს დაეფუძა ვოლტერი, როცა რუსოს, ლესინგის, დიდროს და მონტესკიეს—ენტუზიასტრი ხდებოდა მოწინავე ქართული ინტელიგენცია როცა შემოდის „ფრანგების“ მოდა „ფრანგული“ ტრადიციები. *)

ტფილისში უკვე არსებობს ევროპილთა კლასიკა და ნარიკალის ვიქორი ჭჭაში, სადაც აზიური ურდოები გავლის საშუალებას არ გაძლევენ, ბრწყინვალე ქართველი გავილის ჭარილის დიდის ატაშე კიარასიებით. დღამეზბულს ქალაქში საათნავს იმპერიზაციებთან, ვიქორი სარკმელებიდან ისმის „შოტლანდიური და პოლშური სიმ-

*) ტერმინი „ფრანგ“ რომელიც ნიშნავს ევროპიულს XVIII-ს. მტად პოპულარულია გახაზიარა პროვინციებშიც.

გაიხსენებთ „კალმასობიდან“ მეორე დილაღი, როცა ირმა ზელაშვილი ზურაბთან ერთად ანაშავი დღეით მომავალ ტბიხელს სასტეს უწოდებენ.

გ ლ ე ბ: ჩვენ ასე ვიცით ლაპაჩიკი, ახლა, ზომ ვარ გავეფრანგდებით.

იო ა ნ ე, თუ ვინმე როგიადა იტყვის რასმე ფრანგს ექმნიან ჩვენმა, რა ჩვეულება არს ეგ.

ზ რ ა ბ ა—ამისთვის, რადგან საფრანგეთში მეცნიერება ბევრია, და მეცნიერები მოდიან იქიდან პატარა თუ ზგენია, მის გამო ვისაც მიყვარს ნახენ ფრანგს ექმნიან. („კალმასობა“ 141 გვ.)

*) ამ მომხდელი სემინარიისი ირმა ზელაშვილის დიალოგი „მეზოთიისი“; რომელმაც სკოლიდან იქცა: „კალია ბუზა კომედიისა“ და „მელაშაშა მუზა ტრადიციისა“.

და ვიცი რომან უწით თქვენ უკვე ფრანკიულნი შირი, ფულის პერსონალიანი, მუზიზა პარკიისათვის მუზიხელნი?

იო ა ნ ე მიაჯრება და ცელქი ტალია, მხიარულ ჰყოფს მაფრუტელოთა თი ა ტ რ ს ა შნა გაიმთივლიათა თამაშობითა თვისთა, ჩინებელი მელაშაშნი, წმინაყნებეს წინაშე გრთა, ზელაშვილთა გაპოქმედილთა შემწებლობისა სიკვდილისათა და ტრადიციისა, ანუ მტლოვიარობისა ლტოლვილი.

დღერების ხმები" სიონში, წირვებზე ღვანან ქართველი სენა-ტორები, ჰუსარები, დიპლომატები, — ქალები ევროპული შლიაპებით, პოლინესიით, ტრენით, რუმუბით.

მეფე, რომელიც ეკატერინე II ვოლტკრითან "თავის მეგობარს უძახის და ყრობში სამოგზაუროთ ეპარტებამ დაღეს უკე ჩალმუზობილი, რომელიც მის დინასტიას დიდს ტე. მ. რ. აღმამა, აუღ ენკიხე გამოდის ორდენებით, ანდრიას ლენტიით. ბარონშვილები მთელი წლობით ცხოვრობენ პეტერბურგში, ცარსკოე სელოში და ტუი-ლისშიც ვადმოკუბთ ეტრეკებში ბრწყინვალე სალონები. პალატებში იმართება ასპაზია, მასსონთა კრება, კითხულობენ "ქართულ კურანტებს", აუწყებან სახის მეტყველებისას" ე. ი. თეატრის აქიუმებს.

მაგრამ შვიდეთ შიგ დიბაზში და გაცივით ძველი თვა ზალური საზოგადოება, მით უმეტეს, ამ საღამოს მან უნდა მოისმინოს გიორგი ავადმშვილის ახალი ტრადიცია: ზეფ თეიმურაზი.

ერთი კერაა, რაც ფრანგმა ისტატებმა დაასრუ-ლეს დარბაზის მოწყობა ფრანგული სტილით. თავმოყრი-ლია ბრწყინვალე არისტოკრატია. დარბაზის ერთს კუთ-ხეში "კეკეაიის ლინიდან" დაბრუნებული დონფრანგები ადგენენ სატირილს პამფლეტებს დავით რეპტორზე, რომელმაც ვალესა ქართული გრამატკა. საფუძვში, ერთს მათგანს ებადება აზრი, შეადგინოს "ქართული დეკამერონი" და ანექსილტორი ანტოლოგია. ვიორეს სურს ფოლქის ფილოსოფიის ლექსით გადაღება.

მეორე კუთხეში მშრალი პედანტები კითხულობენ ახლათ შედგენილს პოლიტიკის ტრაქტატს "საქართვე-ლოს სწოა" გამგებნი თავის, რომელიც ხეალ უნდა წარუდგინონ მეფეს განსახილველათ.

მარმარილოს ბუბანთან ისმის ჰებუა ორბელიანის ახალი კლამპერები და კანსლერი ლეონიძე კიდევ ზედ-მეტათ აქვებს მის ეპიგრატიულს ტალანტს. საზოგადო-ებაში არ სჩანს ტატის მემკვიდრე, რადგან მას სძულს თეატრი — შეშფერო შაქრის შვიდგე განმარტოებული, ხა-ტრით დატვირთულს კაპინტში და სტებენა "გიორგი ნოსტის" წიგნით. კითხვები, როგორც ქარსტიანი უფიქრდებდა ფოლტერის წემოსეგას. მართალია, ეკლესიას კიდევ ელის დიდიერტინის, ნერიონ, ივლიანე, ვოლტე-რი, მაგრამ იგი არ დაიღუპება. თუმცა თავის შვილში, რომელიც სარწმუნოებაზედ სუსტობს, ის უკვე ჰხედავს ეკლესიის დანობის სიმპტომებს.

რას იქნს ბოროტი სიტყვითა, უკეთური ვოლტე-რი, მეგობარი ჩემი შვილისა, ჩემის მემკვიდრისა. რუსეთი-ში მეყოფა ჩემმა შვილმა შეისწავლა მისი ურჯულა სწავ-ლა: მოკრძა აქა მისი ხეის, რომელიც სამართლიანად დავწყი (ეცხლსა) და მისუსტებულს მსუქანი სადილით ბურტუტებს; წყულოცი არის მისი სახლი, ღმერთი და მავსოვარო ჩემო, შენ აპატრე შვილსა ჩემსა დავთს და-ნაშთილი მისი. ნუ ჰკითხავ მას. შენ მოაქციე კემშარიტ გზაზედ".

ჭეღლცემებისტერი პატა ანდრონიკაშვილი არ-თობს ტფილისში დაბნაბულს რუსის ბატალიონის ოფიცერს. შემოდინ ტრეილბერტს შეხებახადან შ.რ-ფითი და სოლომონ ლეონიძეს გადასცემენ იმერეთში ექ-სორიკინშილ" ბესიკის წერილს. ჰებუა ორბელიანი — "კე-ცი შესახედავით სხავისი ეზოპესი, თავისი მტერის" სა-

ხელის გაგონებაზედ თრთის როგორც პითია და ეგუის ბესიკის შხამს. მაგრამ ვანწირულ პოეტს არა-სწყლავს მისთვის. წერალობა სთხოვს კანცლერს "იშუამდგომლოს მათს უშალესობასთან" ტფილისში დაბრუნებისათვის. როგორც წერილიდან სჩანს, პოეტს დაინტერესებულია დღევანდელი ტრადიციით: ზომიო, სიუეტებით და საერ-თოდ თხოვლობს თეატრალური ინფორმაციას...

მაგრამ დარბაზი ცოცხლდება, როცა რეჟისორი მა-ჩაველს და ანტრეპრეზირის გამოიელ-მაირის თანხლე-ბითშვილის ახალგაზრდა დრამატურგი და დიპლომატი აე-ლიშვილი გიორგი, ავტორი დღევანდელი პი.სის სა-ზოგადოება მას ხედება განსაკუთრებულ ყუაღღებით. ლეონიძე გადასცემს ბესიკის წერილს, რომლის გადთვა-ლიერების მერე იგი საზოგადოებას იწვევს "პალატაში" საერთოდ მას ეკლბა ნერტულობა. მეზრანდატორის მე-ულელ საყვედურებით მიპართავს გამოიელ მაიორს, რომ თეატრი ასე უნდა გააიარე დემოკრატიაში. დასკინის მის მათუფლებს და მის შესესვლელ ბილეთის, რომელზედაც სწერია "შაფი ორი, გამართლ მაიორი".

დარბაზი უკვე იწვლება და შიღის "სახისმეტყველე-ბის" სანახავათ. წინ მიდინ ქალები კავალერებით ავა-ლიშვილი სიხარულით იტყობინება, რომ ტრადიციზე მეფის ნებათაფიცი იქნება "ჭული" (კონცერტი).

"ჭულს", გამართვენ ისაც ხეყული და გირისიშე მღეღილმანახონი "ტებლად მალონელი". პირვლმა იცის "ჭული" ათ.სი, მეორემ ვიდრე ხუთასამდე. მაგრამ მათ ყავთ მე-უკვე გურიაში, გიორგი, მალონინიძე, "პირ-ველი მალონელი რომელმაც იცის ჭული ათას ერთი". მის მოსმენას ნატრულობენ განსაკუთრებით დროლონები და ტატეს დამები, რომელნიც ხშირად ოქცეობენ პე-ტრბურგზეც. დღეს "ჭულში" გამოვლენ: სოლოდაშვილი ლეონტი, ციკიშვილი იოთამ, მალონელი დიმიტრი, გარ-სევიანი ივლი კოკია, ჭარუშიძე იოანე და სხ.

თეატრი, განთავალი სურნელოვანი კრებებით, საე-სეა პირველი არისტოკრატიით მაგრამ აქვე არიან: ბენია, საათნავა და ოთარია ნოჩილი ინტრემედიების ავტო-რები "კამედიანჩიკებს" და მს. ხოზმან" კლასიკში არიან, სადაც უსტოვარი რევისარი იღება მათ უქანასნელს პა-რადს.

დარბაზში ცალკე მოთავსებულია სამღვდლოება. იგი თავისი წრიდან თეფის არა ერთს არტატს და დრამატურგს, რომელთა თეატრალური რეპუტაცია საე-მოდ გაზრდილია მაგრამ თეით იფიციაციონი ქართული ეკლესია, რომელმაც დასწვა ეფუფის ტყაოსანი, რასტკორ-ველია ვერ წააქებებს დრამატიული ხელოვნების სამა-ხერს, და იტბრვის მას შეტყობისამებრ. დღეს დარბაზში მონაწილეობს ორბელიანებისმიძეგარი. ჭემში დარდი-მანდი. ე. ი. მღვდელი მთიარული. ამბობენ, რომ ორი თვის წინად ის შეიხება ქართლის მთავარეპისკოპოზმა "სახისმეტყველადში" მონაწილეობის მიღებისათვის, მაგ-რამ აქედნი დარბიანდო" მოძღვარი და არტისტო, ტრფილი ტრაპეზის და სკენის, ამ მომენტში კლასიკში დგას გრომეტიებული და უქანასნელით ავლეს თეფის თავის როლს, ხოლო სალამზოზე დაფრინავს მისი შხამი-ანი სატრია:

„ღლოსითვის არქიელი ზოლოსა,
ვინ იქნება იმის დეტულოსა;
თონეშია ჩაჩეავს კარგს ღლოსა,

ემის წირვის გადაიდხის ქაზას,
წინ გაიძღვანს დიაცენსა საბასა,
მე დამიშლის შესვლასა პალატასა,
თვით კი ზღმზე მოივლის ავღაბარსა“

მაგრამ ტრაგედიის გახსნის დრო მოვიდა.

მათემ და მისმა ოჯახმა დაიპირეს თავისი ალაგი ტრაგედიის წინ იმერტის ჰიზნი მეფისადმი და შემდეგ დამატურგმა მღერით წარმოსთქვა შესავალი:

„მე სახედველნი იგ ჩემნი დავაშრე წიგნთა წერითა,
ზოგთ ჩემით მოქმედებულზე ზოგთზე სხვით გადმოწერითა,

მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვამა ლექსისა მღერითა“

არ დაიშლინ, მაჩვენონ იგ, თუ ვმსახურე მე რითა,
თუ ხართ ვინმე მოსტრენი თეატრს სმენად,

ანუ ცნობად, შეიმატებთ განდიდებას, ბრძნთა აქებთ თქვენად მკაოდ,

ეროდებით უსაპართოდ ჩემებრ მწერთა ცუდად გმოზად,

არ დაიშლით, გვაქვს—არ რიდებთ თქვენთან გლახ გულთ ლაზარ სოზად.

მერწმუნენით, არ მას ვუხანობ, მქონდეს მტო მისკენ გრომ“

მაგრამ მწადის განრიგება კიციებითა და ქვემო ჩოზმა,
ნუ იკადრებთ გაცხადებით იქნითოთ ჩემზე წყრომა,
დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელობა, ქვე ქვე ძრომა“.

დაიწყო ტრაგედია. მთავარ როლში მონაწილეობენ: რეჟისორი შანაბელი, თამაშ ანდრონიკაშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, გაბრიელ მაიორი, იოანე ორბელიანი, დავით და მირიან ბატონი „ვილეზი, ქალები სამეფო ოჯახიდან, აგრეთვე ორბელიანები და ავღალიშვილთა ისუღნი. ტრაგედიის ერთი მომენტი: „თეიმურაზი საფლავიდან წამოვდება, ერთს კაცს დიჭერს და ეტყვის: კაცო, შენ ბომა მიღუაშედი არა ხარ, ეს რაგები ჩავიცვამ“ იქით კიდევ ხელს ჩაავლებს სხვა მოქალაქეთ, რომელთაც ევროპაში უზოგხაურიათ და იპაურო ტანისამოსი ჩაუტყვით. შემდეგ მეფე აშობს: ჰაი გიდი საქართველოს დატაკო ხალხ! მაგრამ ექ, შეილო ირალი, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვალს ხალხს სიპართილით უპატრონებ და არ შეწყვეტ გოლქს ბატონებოთი“*) ტრაგედია იყო სამი „სახისმომქედინი“. ანტრაქტებზე უკრავდა რუსულ ქართული მუსიკა და იმართებოდა ინტერმედია ქართული (კეცეთი), ტრავსლივი შემდეგ ტრავა წარუდგამეფეს რომელიმე ტკბილი კონკრეტული მითი აქო მათი „თამაშა“. ტრაგედია დასრულდა თქვენიერესი „მეფით“.

*) კონკრეტული ადგილები.



სვენის მოღვაწე იმ. მკუდლიშვილი.
12 იანვარს 35 წლის იმედილეს გა-
მართულობის.

ამრიგად არაკის იპოქსი ჩვენ გვაქვს საკუთარი თეატრი. გვაქვს ორი სენა სახახლის და სახახლი. თეატრს აქვს რეპერტუარი, ჩნდება თეატრალური ინტერესები ჩნდება ავტორი რეჟისორი ანტრეპრენიორი, დიქტორი, ბეჭდური, გვეხდება ახრი, რომ ტრავაში უკუთვლილები და უმთავრესად ევროპელები უკრავნენ. თეატრალური კულტურა კი საერთოდ ფრანგულ და რუსულ სტილის იყო.

ძნელია თქმა, რა თეორიული წარმოდგენა მქონდათ მაშინდელს ჩვენს თეატრებს, რანაირი იყო ჩვენი „კომედიანტების“ აქტისტიკული ქესტი, დიქტაშეცა, ხერხი, კოსტუმბა, გრიდი.

რომ 1798 წ. არ დაღუპულიყო სასახლის არქივი-გეცოდინებოდა მთავრობის მიერ გაღებულ სუბსიდიის რაოდენობა, გეცოდინებოდა უფრო დაწერილებით თეატრს ორგანიზაცია, ტრუპის შემადგენლობა, რეპერტუარი, პირობება თეატრის განვითარების და ესთეტიკური ქართული „მეფურბელი“.

გიორგი ლეონიძე.

(გაგრძელება იქნება)

P. S. ეს პადარა ეტუდი დაწერილია ნაქარვეთ. თერნა-ლის პირობები გვიწოდდა ხელს რომ უფრო ფართოდ გველა-ჩავა და მოგვეცემა შესაფერი დასაბუთბანი, ამიტომ იგი მელს პრეტენზიებს მოკლებულია.

ავტორი.

გეოლოგიის

საქონლის და საფონდო ბირჟა

ისპოლკომის (ყოფ. სოლოლაკის) ქ. № 7, ===

=== ტელეფონი 4-60 და 9-33.

საბირჟო კრებები

0 მ დ რ თ მ გ ბ

საქონლის განყოფილებაში დღის 12-2 საათამდე
საფონდო „ „ 11-12 „

ბირჟასთან იმყოფება

საეკსპერტიზო გიურო უოველგვარ ეკსპერტიზის საწარმოებათ

საქონლის სექციები, ნედლი მასალების, ხორცის საქარხნო-საფაბრიკო ნაწარმოებების
და პურეულობის, ბირჟის გარეშე სავაჭრო გარიგების სარეგისტრაციო ბიურო.

საარბიტრაჟო კომისია, საბირჟო გარიგების გარეშე მომხდარ დავის განსახილველათ

აურომგიურ-სტატისტიკური განყოფილება.

პროფინსიალური აგენტები-კორესპონდენტები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემდეგ
პუნქტებში: თელავი, წნორის-წყალი, შაუმიანი (ყოფ. შულავერი), გორი, ხაშური, ახალციხე
ახალქალაქი, ქუთაისი, ჭიათურა, სამცხედია, ომურგეთი, ახალ-სენაკი და ფოთი.

ბირჟა სცემს საკუთარ ორგანოს ფასდამდებ („საკოტიროვკო“) ბიულეტენებით.

ცნობების გაცემა: ვალიუტის კურსის და საქონლის ფასების შესახებ, სწარმოებს ბირჟის კანცელა-
რიაში ყოველ-დღე 9-11 საათამდე.